სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო
დადგენილება №01-05-04/30

ქ. თბილისი 24 მარტი 2026 წ.

უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 20 სექტემბრის №01-05-04/254 დადგენილებით დამტკიცებულ „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციაში“ ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ს“ ქვეპუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული უნივერსიტეტის წესდების მე-8 მუხლის შესაბამისად, უნივერსიტეტის ვიცე-რექტორის თამარ წერეთლის 2026 წლის 23 მარტის სამსახურებრივი ბარათის და აკადემიური საბჭოს 2026 წლის 24 მარტის სხდომის №01-05-02/07 ოქმის საფუძველზე, **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 20 სექტემბრის №01-05-04/254 დადგენილებით დამტკიცებულ „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სასწავლო პროცესის მართვის ინსტრუქციაში“ შეტანილი იქნეს ცვლილებები და ინსტრუქციის:

ა) მე-10^1 მუხლის:

ა.ა) პირველი პუნქტის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) ბაკალავრიატში/დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან პროგრამაზე – არა უმეტეს 4 სემესტრისა, არანაკლებ 180 კრედიტიან საბაკალავრო პროგრამაზე - არა უმეტეს 2 სემესტრისა;
ბ) სწავლების დანარჩენ საფეხურებზე (მაგისტრატურის, დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამებზე) – არა უმეტეს 2 სემესტრისა, ხოლო არანაკლებ 60 კრედიტიან სამაგისტრო პროგრამაზე - არა უმეტეს 1 სემესტრისა;“;

ა.ბ) მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. თუ საანგარიშო (გეგმური) ვადის ამოწურვისას სტუდენტის აკადემიური დავალიანება ბაკალავრიატში (არანაკლებ 240 კრედიტიანი)/დიპლომირებული მედიკოსის ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე აღემატება 120 კრედიტს, არანაკლებ 180 კრედიტიან საბაკალავრო პროგრამაზე - 60 კრედიტს, მაგისტრატურაში (არანაკლებ 120 კრედიტიანი) – 60 კრედიტს, ხოლო არანაკლებ 60 კრედიტიან სამაგისტრო პროგრამაზე - 30 კრედიტს, სტუდენტს უფლება აქვს ისარგებლოს შიდა მობილობის უფლებით და ფაკულტეტის/უნივერსიტეტის ფარგლებში მხოლოდ ერთხელ შეიცვალოს სპეციალობა/პროგრამა, რის თაობაზეც მან განცხადებით უნდა მიმართოს რექტორს შიდა მობილობის ვადებში. დამატებით სემესტრში სტუდენტს ეზღუდება შიდა მობილობის განხორციელების უფლება.“

2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64.

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **დ. გურგენიძე**

აკადემიური საბჭოს მდივანი **ი. კუტუბიძე**